



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000066044068219

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 46

04 / დეკემბერი / 2019 წ.

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების, შენობისა და მასზე დამაგრებული 777.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (ს.კ.50.04.42.086), ა(ა)იპ „კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ა. ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის დ. ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, სანყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

## გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს ქალაქ ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების, შენობისა და მასზე დამაგრებული 777.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (საკადასტრო კოდი: 50.04.42.086), ა(ა)იპ „კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი იჯარის ფორმით გადაცემა, საზოგადოებრივი ცენტრი ღია სახლის ფუნქციონირების მიზნით.
2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით პირობიანი იჯარის ფორმით გასაცემი ქალაქ ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობისა და მასზე დამაგრებული 777.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (საკადასტრო კოდი: 50.04.42.086).

ა) სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური 2471.0 (ორიათას ოთხას სამოცდათერთმეტი) ლარის ოდენობით.

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 წელი.

გ) სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობები შემდეგი სახით:


- ობიექტი გამოყენებულ იქნას პირდაპირი დანიშნულებით წარმოდგენილი იდეის შესაბამისად, საზოგადოებრივი საგანმანათლებლო ცენტრი ღია სახლის ფუნქციონირებისათვის.

- წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით შენობის რეაბილიტაციაზე განახორციელოს 128500 (ასოცდარვაათას ხუთასი) ლარის ინვესტიცია.

ობიექტის რეაბილიტაცია დასრულდეს მისი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს ორი წლის ვადაში.

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში ( ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ. N101).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია   
ელექტრონულად

თამარ ყვინიშვილი